ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 ოთხშაბათი, 13 დეკემბერი № 1326

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

ნიკოლოზ, დავით და სვიმონ ბესარიონის ძენი ლოლობერიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, ქალაქ ქუთაისს, 11 დეკემბერს ძმისა თვისისა

გიორგი ბესარიონის ძის ლოლობერიძისას.

გამოსვენება იქმნება სადგომიდან (ლევაშოვის ქუჩა, მაჭავარიანის სახლი) ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, დილის 9 საათზე, საკათედრო სობოროში.

1901 წლისათვის
მიიღება ხელის მოწერა
„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე – 2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 კ

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—3 მანეთი, პირველ აპრილამდე—3 მანეთი. თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში. ტელეფონი **№ 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ

ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება **პირველად ახალი პიესები**

I
ბრძყალები

დრამა 3 მოქმედებად პოლ-ერვიესი, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა.

II
დავით რაბინი

კომედია 3 მოქმედებად ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ **„შემოსავლიანი ადგილი“**, კომ. ოსტროვსკისა.

ქართველთა ამხანაგობის სტამბაში საჭირონი არიან შეგირდები ასოთ-საწყობში.

ვანქის დიდი ქუჩა, მარტირუზოვის სახლი.

რედაქცია

„ცნობის ფურცლისა“ და „მოამბისა“, ახალი შენობის დამთავრებამდე, დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, იამამშოვის სახლებში, ვილლარეტის აფთიაქის გვერდით.

რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

11 დეკემბერი.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან: „რამდენადაც კი შეიძლება ვიცოდე საქმეთა მდგომარეობა, მე ვფიქრობ, რომ ბურების მოძრაობა კაპის ახალშენის შუაგულისაკენ ამიერიდან შეუძლებელია. ჩვენმა ჯარმა ორივეს მხრით შემოუარეს ბურების რაზმებს; ამ ჟამად კიდევ ვამზადებ რაზმს კაპის ახალშენში გასაგზავნად. ბურებს მაინც და მაინც დიდ დახმარებას არ უჩენენ კაპის ახალშენში. დევეტი იმყოფება სენეკალის ახლოს. ფრენჩი იტყობინება, რომ ორის დღის წინეთ მაგალისბურგის სამხრეთით ის შეჰხვდა ბეიერის და დელარეის რაზმებს; ის სდევნის მტერს, რომელმაც დიდი ზარალი ნახა; ბურების ჯარის ერთი უფროსთაგანი კრაუზე და რამდენიმე ბური ფრენჩმა ტყვედ წაიყვანა“.

ნიუ-იორკი. პეკინიდან მოსული ცნობით, ლიხუნჩანგმა შეატყობინა ელჩებს, რომ, როგორც იგი ჰფიქრობს, მას ხვალ შეეძლება დაესწროს ელჩების კრებას საერთო ნოტის მისაღებად. ნოტას ჩააბარებს ლიხუნგსა და ცინს დიპლომატიური კორპუსის უხუცესი წევრი ისპანიის ელჩი; ამასთანავე ის წარმოსთქვამს მოკლე სიტყვას, რომელშიაც გამოაცხადებს იმედს, რომ ჩინეთის მთავრობა მალე უგებს პასუხს უცხოელთ მათ მოთხოვნებზედ, რომელთაც საგნადა აქვთ დაიცვან ეხლანდელი დინასტია და მძიმე პირობები არ დაუდვან ჩინეთის ერს. შემდეგ სიტყვაში გამოთქმული იქნება იმედი, რომ იმპერატორს ჩააგონებენ თანხმობის გამოცხადებას. ელჩები პასუხს ხუთშაბათს მოელიან.

ვაშინგტონი ამერიკის მთავრობას ჰსურს, რომ სახელმწიფოებმა მოითხოვონ ჩინეთისაგან არა უმეტეს 200 მილიონ დოლარისა ზარალის საზღაურად შეერთებულმა შტატებმა სულ დახარჯეს ჯარების გადაყვანაზედ და სამხედრო მასალაზედ 11 მილიონი დოლარი; უმეტესი ნაწილი ამ ხარჯისა ჩინეთს უნდა ეკისროს.

პეტერბურგი. 11 დეკემბერს ჩამოვიდა პეტერბურგში სიამის ტახტის მემკვიდრე პრინცი მახავა—ვაჩარა-ვუ-ტი; სადგურზედ მას მიეგება მისი ძმა პრინცი ჩაკრაბონი.

11 დეკემბერს ცარსკოე სელოში მოვიდა დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული უავგუსტოესის ქალიშვილითურთ.

12 დეკემბერი.

ბერლინი. ლონდონიდან მოსულ კერძო ცნობებით, ოფიციალური დეპეშა ბურების შესევის შესახებ კაპის ახალშენში მეტად ოპტიმისტიური არის. როგორც ხმა არის, ბურების შესევა კაპში გადაწყვეტილი იყო აფრიკანდერების მიერ და მოხდა მათის დახმარებით. კაპის ახალშენში სულ შესულა 6000 ბური. მთელს ახალშენს მოედო ამბოხება; ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეთა აზრით, ხუთის წლის ვადით უნდა შეჩერებულ იქმნას ახალშენში კონსტიტუციის მოქმედება.

პეკინი. სამშვიდობო პირობები დღეს გადასცა ესპანიის ელჩმა ლიხუნჩანგსა და ცინს. ნოტა, აღნიშნული 9 დეკემბრის თარიღით, არის დაწერილი ფრანგულ ენაზე შეიცავს დაახლოვებით 1300 სიტყვას და ხელმოწერილია 11 ელჩისაგან ალფაბეტის რიგზე. ნოტის გადათარგმნაში ჩინურს ენაზე მონაწილეობას იღებენ ყველა საელჩოების დრაგომანები.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

⁂ ბურების ახალმა გამარჯვებებმა, მეტადრე გენერალ დელარეის გამარჯვებამ კლემენტსზედ, მოახდინა, როგორც ვიცით, ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილება მთელს განათლებულს მსოფლიოზედ. მეორეს მხრით ის ცნობანი, რომელნიც პრეზიდენტ შტეინის ადიუტანტმა კაზერტმა მოიტანა ევროპაში, მეტად საიმედონი არიან ბურებისთვის.

შემდეგ, როგორც ირწმუნებიან უცხოეთის გაზეთები, ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტის შტეინის დეპეშები კრიუგერთან ამტკიცებენ, რომ ორსავე რესპუბლიკებს შუა სრული თანხმობა ჰსუფევს და რომ ორანჟელი ბურები გულწრფელად თანაუგრძნობენ იმ დიპლომატიურ მოლაპარაკებას რომელიც კრიუგერს ევროპაში აქვს გამართული. გარდა ამისა, ცნობები მოდის სამხრეთ-აფრიკიდან, რომ ბურების გენერლებს შესანიშნავი სტრატეგიული პროექტები აქვთ დამზადებული და ამ გენერლებს ეხლა უფრო დიდი იმედი აქვთ, ვიდრე როდისმე სხვა დროს ჰქონიათ, რომ მათი დაუღალავი და მხნე ბრძოლა საბედნიეროდ გათავდება ბურებისათვისო. მათი ბოლონდელი გამარჯვებანიც ამტკიცებენ, რომ მათი შეხედულება უსაფუძვლო არ ყოფილა.

⁂ «დეილი მაილის» სამხედრო კორესპონდენტი დუგლას სტორი შემდეგ საინტერესო ცნობებს იწერება შესახებ ბურების გენერალ დელარეისა, რომელმაც ამას წინად შესანიშნავად გაიმარჯვა ინგლისელებზე მაგალის მთასთან:

«გენერალ დელარეის მეტად დარბაისლური სახე აქვს; მიხვრა-მოხვრა საფრანგეთის წარსული საუკუნის არისტოკრატისას მიუგავს. უკვე ომის დაწყების დროს მას ნიჭიერი სარდლის სახელი ჰქონდა. იგი იღებდა მონაწილეობას ყველა ომებში, რომლებიც მის სამშობლოს ჰქონდა დაწყებული 1852 წლიდან; როცა ომი ასტყდა ბაზუტების ტომთან, დელარეი უკვე პატარა რაზმის უფროსად იყო. დაშქრობის დროს გენერალი ყოველთვის ჩუმად და ქუნარად იქცეოდა მოდერ-რივერთან რომ ბრძოლა იყო, დელარეიმ იკისრა პოზიციების არჩევა და ბრძოლის ხელმძღვანელობა. სწორედ ამ ბრძოლის დროს მას მოუკლეს უფროსი ვაჟიშვილი. ამ სამწუხარო ამბის შესახებ დელარეიმ უბრალოდ და დინჯად მიამბო შემდეგი:

«ჩემი შვილი მომიკლეს ბრძოლის დაწყებისათანავე; ის 15 წლისა იყო, და თუმცა თავის ხნოვანების დაგვარად ის საკმაოდ სუსტი იყო, მაგრამ მგონია, რომ მან კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა.

მე და ის ვადავდიოდით ერთი პოზიციიდან მეორეზე; უცებ ის უკან ჩამორჩა. ვკითხე, დაჭრილი, ხომ არა ხარ-მეთქი.

მან მოკლედ მიპასუხა: «დიახ, მამავო!».

წავიყვანე დაჭრილებისათვის დანიშნულს ადგილზე; იქ შევნიშნე, რომ ფეხზე ძლივსღა იდგა და ტკივილისაგან ძალზე შეწუხებულიყო. დავეკითხე: «ხომ არა ჰკვდები»?

— ჰო, მამავ, ვკვდებიო,—ისევ მოკლედ მიპასუხა.

ნახევარ საათის შემდეგ გათავდა, მას კუჭში ჰქონოდა ჭრილობა».

გაათავა ეს სამწუხარო მოთხრობა გენერალ დელარეიმ, დინჯად დაიწყო ჩიბუხის გაკეთება და მერე ლაპარაკიც სხვა საგნებზე ჩამოაგდო.

უფროსი ვაჟი-შვილის სიკვდილს შემდეგ, მასთან ჩამოვიდა მაშინვე მისი უმცროსი, 14 წლის ვაჟი შვილი».

კორესპონდენტის სიტყვით, გენერალი დელარეი — ნამდვილი ჯენტლმენია, გულადი მეომარი და რაინდულის ზრდილობისა.

※ «ტაიმს»-ში დაბეჭდილია ცხარედ დაწერილი სტატია წინააღმდეგ ლორდ კიტჩინერის მთავარ-სარდლად დანიშვნისა სამხრეთ აფრიკაში.

※ ინგლისური გაზეთი «ვესტმინისტერ გაზეთი» ამბობს, რომ ლორდ კიტჩენერის დეპეშები მეტად ბუნდად არიან დაწერილნი და სამხედრო მინისტრი მოვალეა უხსნას საზოგადოებას მათი შინაარსით. მაგალის მთასთან დამარცხება გვიჩვენებს, რომ ომი ჯერ გათავებული არა ყოფილა და თვით პრეტორიის მიდამოებიც არა ყოფილან სავსებით უშიშრად.

დევეტისაგან ხომ სწორედ სული აქვთ ყელში მობჯენილი ჩვენ გენერლებს, მაგრამ ამ თვალთ-მაქცი და საარაკო სარდლის გარდა, ჩვენ ჯარებს წამ და უწუმ თავს დაატყდებიან ხოლმე სხვა გენერლებიც, რომელთაც ჩინებულად შეიარაღებული და გაწყობილი რაზმები ჰყავთ.

ყველა ეს გვიჩვენებს სავსებით ცხადად, რომ ინგლისის ჯარებს ტრანსვაალში ბრძოლა აქვთ ნამდვილ წესიერ ჯარებთან და არა უბრალო «მთათარეშე ყაჩაღის ბრბოებთან», როგორც ჩვენი მთავრობა აცხადებს ჩვენი გენერლების ჩაგონებით. ინგლისის საზოგადოებას აღარა სჯერა მთავრობის და გაზეთების მანუგეშებელი ცნობები და შეწუხებული ჰკითხულობს: ექმნება დასასრული ამ ომს, თუ საუკუნოდ გაგრძელდება? ჰფიქრობდნენ, რომ ბურებს გამოელევათ საზრდო და იარაღიო, მაგრამ ბურები აქამდე განუწყვეტლივ იბრძვიან, სამხედრო მასალა და საზრდო ჭარბად აქვთ და იარაღი ხომ ინგლისელებზე უკეთესიც აქვთ.

«ორში ერთი უნდა ავირჩიოთ; ან უნდა შეურიგდეთ ბურებს, ან უნდა სულ დედაბუდიანად ამოვწყვიტოთ ისინი, თუ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს ამ ომსაო». — ასე ათავებს თავის წერილს გაზეთი.

※ ცნობილმა სამხედრო კრიტიკოსმა უილიამსმა დასწერა წერილი ინგლისის ჯარების ახლადი დამარცხების შესახებ; ამ წერილში უილიამსი ამბობს: «ჩაიბარა თუ არა ლორდმა კიტჩენერმა ინგლისის ჯარების მთავარ-სარდლობა, ბურებმა თითქო იმის ჯიბრზე ერთბაშად გააძლიერეს თავიანთი მოქმედება. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ კიტჩენერის «მხნე სარდლის» სახელმა სრულებითაც ვერ შეაშინა ბურები».

※ ბურების ბოლოდროინდელ გამარჯვებათა შესახებ პარიზელი ოფიციალური გაზეთი «ტანი» სწერს:

«მას აქეთ, რაც ლორდმა კიტჩენერმა ჩაიბარა ლორდ რობერტსისაგან მთავარ-სარდლობა და გადაიტანა თავისი მთავარი ბინა ბლუმფონტენში, ინგლისის ჯარის საქმე ძლიერ შეირყა.

იმპერია, რომელიც ერთი ასად უფრო ძლიერია, სანამ მისი მოწინააღმდეგე და რომელსაც თავისი თავი გამარჯვებულიც ჰგონია, არ უნდა ამრუდებდეს ფაქტებს იმ აზრით, რომ თავის მოწინააღმდეგეს ნამდვილი მეომარი ჯარის უფლება აჰყაროს. მარტო იმის გამოცხადება, რომ ბურების ჯარები თავისი რიცხვით და მოწყობილობით არა ჰგვანან წესიერ ჯარებსაო, — არა კმარა იმისათვის, რომ ბურებს წაერთოთ უფლება მეომარი მოწინააღმდეგისა. დევეტისა და დელარეის ახალ გამარჯვებათ ცხადად დაუმტკიცეს ინგლისელებს, რომ ბურების ჯარი წესიერად და მოხერხებით არის მოწყობილი და თუ ამას იქითაც ინგლისელები არ მოეპყრობიან ბურებს, როგორადაც ნამდვილ მეომარ მოწინააღმდეგეს, ეს იქნება იმათ მხრივ მხოლოდ სამარცხვინო და საზიზღარი შურისძიება.

თითონვე ინგლისელები ჰმოწმობენ ბურების სარდალთა რაინდულ კაცთ-მოყვარეობას; ამათ არა ერთხელ გაანთავისუფლეს დატყვევებული ინგლისელი ჯარის კაცები. ამას გარდა გენერალ ბოტამაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბურებს დაწესებული აქვთ ნამდვილი კანონიერი და წესიერი მართვა-გამგეობა. ყველა ამის მიხედვით, ინგლისელები არ უნდა ეპყრობოდნენ ბურებს, როგორც «მთათარეშე ყაჩაღებს».

ახალი ამბავი

✦ რკინის გზათა უფროსი ინსპექტორი ბ-ნი გორჩაკოვი ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, გაეცნოს დაახლოვებით ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობას. ბ-ნი გორჩაკოვი ტფილისში, როგორც შევიტყეთ, ამა დეკემბრის თვის დამლევამდე დარჩება.

✦ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დადგენილება საბჭოსი შესახებ მომავალ არჩევნებისა. ამ გარდაწყვეტილებას განიხილავს გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო.

✦ ამ დღეებში ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი ნ. გ. ტატიშვილი სარატოვში გადიყვანეს სემინარიის ინსპექტორად. ეხლა „კავკაზი“ იტყობინება, რომ ბ. ტატიშვილის ადგილზე ხსენებული სკოლების ზედამხედველად დაინიშნაო ტფილისის ქალთა 1 ლ გიმნაზიის ცნობილი მასწავლებელი ი. ვოსტორგოვი.

✦ ტფილისში ამ ჟამად არსებობს მომრიგებელთა სასამართლოს ოთხი განყოფილება. როგორც ხმა არის, სასამართლოს უმთავრეს უწყებას განზრახვა აქვს კიდევ დაარსოს ტფილისში ერთი მომრიგებელ სასამართლოს განყოფილება, რადგანაც არსებული ოთხი განყოფილება ვერ ასწრობს აუარებელ საქმეების გარჩევას.

✦ ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში მეტად გავრცელდა ინფულენციით ავადმყოფობა, რომელმაც თითქმის ეპიდემიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით ინფულენციით ავადმყოფობა გავრცელებულია ქალაქის განაპირა ადგილებში. მაგალითად, რკინის გზის ლაზარეთში იმდენი ავადმყოფნი აწყდებიან, რომ ექიმები ძლივს ასწრობენ ავადმყოფთა მიღებას. მაგალითად, ორშაბათს, 12 დეკემბერს, მარტო ექიმს ავთანდილოვს 120 ავადმყოფი მიუღია, რომელთაგანაც 90°/₀ ინფლუენციით ყოფილა ავად.

✦ სადგურ გომიდან (გორის მაზრა) „ნოვ. ობოზრ.“-ს სწერენ, რომ სოფელ დუმაცხოველში რაღაც უცნაური ავადმყოფობა გაჩენილა: ზურგზე ავადმყოფს უჩნდება მუწუკი, რომელიც მალე შავდება და რამდენიმე დღეში კაცი კვდება. ცოტა ხანში ამ ავადმყოფობამ 15 კაცი მოჰკლა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ ამბავს.

✦ გუშინ ტფილისიდან განჯაში წავიდა განჯის გუბერნატორი ბ-ნი ლუტცაუ.

✦ სახალხო განათლების სამინისტრომ შეატყობინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს, რომ დღესასწაულების და სეირნობის გამართვა მოსწავლეთათვის უნდა მოხდეს მხოლოდ უქმე დღეებში და ან როცა მოსწავლეთ სწავლა აღარ აქვთ.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს განუზრახავს გააფართოვოს ქალთა გიმნაზიების პროგრამა. სახელდობრ, გადაწყვეტილია სავალდებულოთ გახადონ ხსენებულ გიმნაზიებში ბუნების მეტყველებისა და პოპულიარულ საექიმო მეცნიერების სწავლება.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ნოვოროსსიისკის სახლთ-ამშენებელმა საზოგადოებამ ჰსთხოვა ფინანსთა მინისტრს მოუმატოს კრედიტი ამ საზოგადოებას 700,000 მან.

✦ მთავრობის მიერ გადადებულია 1200 მან. სატუსაღო სახლების ასაშენებლად ახალციხეში ორ ადგილში, უდეში და აწყურში. ყოველი სახლი მოწყობილი იქნება 20 ტუსაღისათვის, ამათში ცალკე ოთახები იქნება ხუთი ქალებისათვის.

✦ საზოგადო სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი ახალქალაქის მაზრაში აღნიშნულია 349,000 მან. ასე რომ დესეტინა მამულზე მოდის 3 მ. 93 კ. გადასახადი. სახაზინო პალატის მმართველმა ვერეტენიკოვმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ წარსულ წელში ეს მხარე ძლიერ დაზარალდა მიწის ძვრისაგან და წელს „ბალლინჯოსაგან“ სთხოვა უმაღლეს მთავრობას შეუმსუბუქონ გადასახადი 24°/₀-ით და ეს განსხვავება გაანაწილონ სხვა მაზრებზე.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად მთავრობის განკარგულებით დაიხურა სომხურ წიგნების გამომცემელი ტფილისის ამხანაგობა. კვირას, 10 დეკემბერს, „ნოვ. ობოზრ“-ს სიტყვით, მოხდარა ამ ამხანაგობის უკანასკნელი კრება საქმის ლიკვიდაციისათვის. კრებას გადაუწყვეტია მთელი თავისი ქონება, ღირებული 38 ათას მანათად, გადასცეს ერევნის სომეხთა სასულიერო სემინარიას. გარდა ამისა, ამხანაგობას სათადარიგო თანხა ჰქონია 10 ათასი მან. შემოწირული ა პოლოსიანის მიერ სახალხო წიგნების გამოსაცემად. კრების დადგენილებით, ეს ფული უნდა დაუბრუნდეს შემომწირველს

✦ ტბილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით, შაბათს, 15 დეკემბერს, დანიშნულია კერძო მოლაპარიკება, რომელზედაც უნდა შეიმუშავდეს ნახშირის ვაჭრობის წეს-რიგი. ამ კრებაზედ მიწვეული არიან თბილისის მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი და პოლიცმეისტერი კოვალიოვი.

✦ შაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება კრება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ქალაქის ნავთიანი ადგილების იჯარით გაცემის საქმე. კრებაზე მოწვეულნი არიან ხმოსანნი: ა. ს. ბაბოვი, ი. ა. თაიროვი და მთამადნის ინჟინერი ბეკზადოვი.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, რადგან ქალაქის საბჭომ დროზე ვერ განიხილა ქალაქის მიწის მეჯლისისათვის მიზოევისა და პეტრუსა მაკაროვის მიწების გაწესრიგების საქმე, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოითხოვა, რათა ეს საქმეები, თანხმად სამოქალაქო დებულების მე 80-ე მუხლისა, წარდგენილ იქმნან განსახილველად და გადასაწყვეტად ტფილისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოში ამ წინადადებაზე ქალაქის თავმა განუცხადა, რომ ეს საქმეები უკვე განიხილა საბჭომ 20 ნოემბერსაო. ამის გამო გუბერნიის მმართველმა წინადადება მისცა ქალაქის თავს წარმოუდგინოს მას განმარტება, თუ რომლის საფუძვლით შეიტანა მან ეს საქმეები საბჭოში განსახილველად. მაშინ როდესაც, სამოქალაქო დებულების მე 80-ე მუხლის ძალით, ისინი უნდა გაერჩია საგუბერნიო საკრებულოს.

✦ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში დანიშნულია განსახილველად ცნობილი საქმე თავ. კონსტანტინე დადიშქელიანისა და ნიკოლოზ ფალავასი, რომელთაც ბრალად ედებათ ქუთაისში პოლიციის ბოქაულისათვის მოქმედებით შეურაცხების მიყენება.

✦ შაბათს, 9 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის, სოფელ კინიახის მცხოვრების კაცია პეტრეს ძის ძაძამიასი, რომელსაც ის ბრალდებოდა, რომ ის 1898 წ. 13 აპრილს სოხუმის ოლქის, სოფ. ბერსნეტკაში ჩაესაფრა ხეს უკან თვის მეზობელს სოფრომ ბერულავას და ესროლა თოფი, მაგრამ ბერულავა სუბმუქად დაიჭრა და შემთხვევით სიკვდილს გადარჩა. ოლქის სასამართლოს ძაძამიასათვის ერთის თვით პოლიციაში დაპატიმრება გადაუწყვეტია. სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ძაძამიას აღნიშნულს დანაშაულობისათვის გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

✦ 1898 წლის 5 ივლისს შორაპნის მაზრის, სოფელ რგანის მცხოვრებს ფილიპე ლ. გველესიანს თავის მამის სახლიდან მოუპარავს 300 მან. ღირებული ცხენი, რომელიც ებრაელს იოსებ ცოციაშვილს ეკუთვნოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, გველესიანისათვის გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ოთხის თვით ციხეში დაპატიმრება. შაბათს, 9 დეკემბერს, სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტბილისის სომეხ-გრიგორიანების ეპარქიის უფროსი არქიეპისკოპოსი სერმნიანცი გადაჰყავთ სხვა ადგილას.

✦ ადგილობრივ ადმინისტრაციას განუზრახავს შეამციროს ტფილისში სამიკიტნოების და ტრაქტირების რიცხვი. მომავალ წლიდან აღარ მისცემენ ნებას მათის გახსნისას სასწავლებლების და ეკლესიების ახლო.

✦ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ 20 ოქტომბერს 1900 წ., მილოვის და თაიროვის კანტორა გატეხა დარაჯმა არშალუის ავაკოვმა, ვინმე სტეფანეს და ალანიკა ტატჯაროვის (იგივე გრიგოროვის) დახმარებით, ხის გასაღებით, რომელიც მოსამსახურეს გაეკეთებინებინა. ამ გასაღებით თუმც რამდენჯერმე გაეღო ფულის კასა, მაგრამ რადგან ცოტა დახვედროდა კასაში ფული, არ ამოეღო, ხელი არ გაეჭუჭყიანებინა. 20 ოქტომბერს კი 12,000 მ. დახვედროდა და, რასაკვირველია, თავი მოექაჩნა კასისთვის. თუმც მეორე დღეს შეიპყრეს ესენი, მაგრამ, რადგან ფაქტი ვერ დაადგინეს და ყველანი გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ გაენაწილებინათ ფულები და ქეიფი დაეწყოთ. ტატჯაროვს წამოეღო 4,000 მ. და ტფილისში წამოსულიყო. ავაკიმოვს კი თავისთვის 8,000 მ. დაეტოვებინა. აქედან 2000 მ. თავის ძმისთვის ალალაბ-ავაკიმოვისთვის მიეცა, რომელიც ყარსში გაქცეულიყო. ამათ შესაპყრობლად ბაქოს პოლიციამ გამოგზავნა პოლიციის მოხელე ივ. ყიფიანი; ამ უკანასკნელს კიდევაც შეუპყრია ორივე გამოქცეული ქურდი — ტატჯაროვი ტფილისში, რომელიც ყავახანებში ქეიფობდა და მეორე ალაბაბ ავაკიმოვი სოფელ ბეგლიარ-ახმეტში, ყარსიდან 2—3 ვერსის მანძილზე, ორივენი ტფილისის მეტეხის ციხეში დაუპატიმრებიათ. გამოტაცებული ფულიდან 1200 მ. უპოვნიათ, ხოლო დანარჩენი გაუფლანგიათ.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ შაბათს, 9 დეკემბერს დაამტკიცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც რაჭის მაზრის, დაბა ონის მცხოვრებს სიმონ კოსაშვილს გარდაწყვეტილი აქვს 1 წლით და 6 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება იმ დანაშაულობისათვის, რომ მან 1898 წლის 14 ნოემბერს დაბა ონში ხანჯლით მუცელში დასჭრა სოლომონ ხახიაშვილი, რომელიც ამ ჭრილობით გარდაიცვალა.

✦ შაბათს, 9 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის მაზრის, სოფ. ტობანიერის მცხოვრების აზნაურ იესე ყარამანის ძის გოგოძისა (15 წლისა), რომელსაც ჰბრალდებოდა განზრახვით სოფ. მიქელეპონის მცხოვრების ისაია ანდრიას ძის ჯოგლიძის ხანჯლით დაჭრა და მოკვლა. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო გოგოძე აღნიშნულ ბრალდებაში და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გოგოძეს გარდაწყვეტილი აქვს ერთის წლისა და 4 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

✦ კვირას, 10 დეკემბერს, პოლიციის მესამე ნაწილში პოლიციის მოხელემ ფარნა გაბელიამ მიიყვანა მის მიერ შეპყრობილი ტფილისის მცხოვრები მიხეილ ოჭანეზოვი და ალექსი მელაძე, რომელთაც ამ დღესვე მოეპარათ 40 მან. და 70 კაპ. ყარამან აირგუნელისათვის. ქურდები პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი.

ეროვნული

✦ კვირას, 10 დეკემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში ვიდაც ბოროტ-განმზრახველს გაუტეხია სახლი თევდორე კლოჩკოვისა, საიდანაც წაუღია ხელის მაშინა, ღირებული სამოც მანეთად.

✦ კვირას, 10 დეკემბერს, ღამის 12 საათზედ, პოლიციის მე-2 ნაწილში პოლიციის მოხელემ მიიყვანა მის მიერ დავიდოვის ქუჩაზე, მილოვის სახლებთან, ნახული ერთი კვირის დაბადებული ბავშვი მამრობითი სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

ქალაქის საბჭო

11 დეკემბერი.

ორშაბათს, 11 დეკემბერს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ჰქონდა სხდომა, რომელზედაც დაესწრო სულ 33 ხმოსნამდე. საბჭომ, თვის ორ უკანასკნელ სხდომის ოქმის შეუცვლელად დამტკიცების შემდეგ, აირჩია ტფილისის სახაზინო პალატის სამრეწველო გადასახადის საზოგადო საკრებულოსათვის ერთი წევრი ბ-ნი ტერ-ასატურიანი, ქალაქის პირველ ხარჯის გამწერ საკრებულოს წევრებად: ხმოსნები ეგიაზაროვი, აკოფოვი და გურგენოვი, ხოლო კანდიდატად ნაზარბეგოვი; მეორე ხარჯის გამწერ საკრებულოსათვის წევრად ბ-ნი ფინკი; ცხენებზე დარჩენილ გადასახადის საპატიებლად ამორჩეულ კომისიის წევრების შესავსებლად ამორჩეულ იქმნენ ხმოს. თავ. ბებუთოვი, ა. ს. ბალდასაროვი და ი. ს. ყორღანოვი, ხოლო დაფასების ფურცლების შემმოწმებელ აღმასრულებელ კომისიის წევრად ბ-ნი შადინოვი და მის ორ კანდიდატად ხმ. გრიქუროვი და კანდურალოვი. ამის შემდეგ საბჭოს წარედგინა განსახილველად ტფილისის გუბერნატორის წინადადება ქალაქის ყოფილ ფერშლის მიხეილ ფოლადოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ზოგიერთი ხმოსნები წინააღმდეგი იყვნენ პენსიის დანიშვნისა, მაგრამ საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს ქალაქმა ფოლადოვის პენსიის დანიშვნის საქმეში იმდენად, რამდენადაც ეს კაკონით სავალდებულო იქნება, რადგანაც ფოლადოვი 23 წელიწადი ყოფილა ფერშლად და ნახევარს თავის სამუშაო დროს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობას ახმარდა. საბჭომ აგრეთვე განიხილა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც უპატივებიათ ს. ა. ცატუროვისათვის მის მამულზე დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი 188 მ.; როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ცატუროვს 1895 წლამდე სახელმწიფო ადგილი სჭერია და, რადგანაც ამ დრომდე ამ ადგილს შემოსავალი არაფერი ჰქონია, თანახმად კანონისა, უთხოვნია, ეპატიოს მას ეს მაშინდელი გადასახადი. საფინანსო კომისია არ დათანხმებულა გამგეობის დადგენილებაზე. რამოდენიმე ხნის კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით, თანახმად უმართებულესის სენატის განმარტებისა (ამ განმარტებით ქალაქის ის სახელმწიფო მამულები, რომელნიც შემოსავალს არას იძლევიან, დასაფასებელ გადასახადსაც არ გადაიხდიან) დაადგინა, ეპატიოს ცატუროვს 1895 წლამდე მისგან საჯაროდ აღებულ მამულზე დარჩენილი გადასახადი 188 მ.; საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე ქალაქის გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის მოსახდენად გადადებულ იქმნეს 2650 მან. სალერბო გადასახადი. რამოდენიმე წვრილმან საქმეების განხილვის შემდეგ საბჭოს წარედგინა განსახილველად გამგეობისაგან ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, რომ დაზღვეულ იქმნეს ქალაქის საყასბოზე ის ავადმყოფი საქონელი, რომელიც შემოწმების შემდეგ ცეცხლში უნდა დაიწვას ხოლმე. საქმე იმაშია, რომ როდესაც საყასბოზე მიჰყავთ საქონელი, ხშირად ხდება, რომ ბეითლები გარეგნობით ვერ ატყობენ—საქონელი ავადმყოფია თუ არა და როდესაც ჰკლავენ, აღმოჩნდება ხოლმე ხორცი იმდენად უვარგისი, რომ იქვე ცეცხლში სწვავენ. ამის გამო ღარიბი მეპატრონენი მეტად ცუდს მდგომარეობაში ვარდებიან, რადგანაც უკანასკნელი გროშით შეძენილი საქონელი ელუპებათ და მით ხშირად უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა ერთმევათ. აი ასეთი შემთხვევისათვის ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია წესი, რომელიც უნდა სავალდებულოდ იქმნეს შემოღებული ქალაქის ყასბებისა და საკლავ პირუტყვების მეპატრონეთათვის. ამ წესით ყოველი პირუტყვი, ქალაქის საყასბოში მიყვანილი, უნდა წინადვე იქმნეს დაზღვეული და იმ შემთხვევაში, თუ დაკვლის შემდეგ ხორცი სახმარებლად უვარგისი აღმოჩნდება, ხორცს ჰსპობენ და მეპატრონეს კი ქალაქი პირუტყვის ღირებულობის $^3/_4$ უხდის. რადგანაც ეს წესი მეტად დიდს ხარჯს გამოიწვევს და ქალაქს ამის შეძლება არ ექმნება, გამგეობას დაუდგენია, გააწეროს საკლავ საქონელზე გარდასახადი, საიდანაც, მათივე ანგარიშით, შესდგება ისეთი თანხა, რომ დაწუნებულ საქონლის პატრონის ზარალის გადახდა შესაძლებელ იქმნება. ეს გარდასახადი ამნაირად იქმნება განაწილებული: მსხვილ ოთხფეხ პირუტყვებზე—სულზე 11 კაპ., ხბოზე, ცხვარზე და სხვ.—5 კ. და ღორზე კი 41 კაპ., რადგანაც უფრო ხშირად ღორის ხორცი გამოდის დაავადებული. გამგეობაში ეს საკითხი დიდი ხანია ყოფილა აღძრული, სადაცწესის შემუშავების დროს შეუკრებიათ რუსეთის ყველა დიდ ქალაქებიდან ცნობები და სამს მოსაზრებაზე შეჩერებულან, რომელთაგან საუმჯობესოდ უცვნიათ ზემოდ მოყვანილი წესი. ხმოსანთა შორის ამ მოხსენებამ გამოიწვია დიდი კამათი, რომელმაც ღამის 12 საათამდე გასტანა. ბევრი სხვა და სხვა მოსაზრებანი წარმოითქვა. ხმოსანი ა. ს. ბაბოვი ამტკიცებდა, რომ ქალაქს დიდი ზარალი მიადგება მაგ წესის შემოღებით, რადგანაც შესაძლებელია დადგენილ გარდასახადისაგან იმდენი თანხა არ შესდგეს, რომ დაზარალებული მეპატრონენი დააკმაყოფილოს და მაშინ ქალაქის კასსას უნდა მიჰმართოთო და,ყოველ შემთხვევაში,კარგი იქმნება გარდაეცეს ეს საქმე უფრო ვრცლად ყოველის მხრით შესამუშავებლად საბჭოს კომისიასო; ზოგიერთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ეგ წესი ბოროტ-მოქმედებასაც გამოიწვევს ზოგიერთ ყასბებში, რომელნიც სულ მცირე ფასად ავადმყოფ საქონელს შეიძენენ და აქ, ქალაქისაგან, კარგ ფასს აიღებენო და სხვა. ხმ. კალანთაროვი ამბობს—მე წესის შემოღების საწინააღმდეგოდ არა მაქვსრა სათქმელი, მაგრამ კარგი იქმნება ხბოზე შემცირდეს გარდასახადი, რადგანაც უფრო სალია საქონელი პატარაობისასო, ამიტომ მსხვილ პირუტყვზე 11 კაპ. მაგიერ 12 კაპ. დაწესდეს და ხბოზე, ცხვარზე და სხვ. 3 კაპ.; რადგანაც ამ საგანზე კამათმა დიდხანს გასტანა და, ზოგიერთ ხმოსნების აზრით, ნათლად ვერ გამოირკვა საქმე, ითხოვეს შემდეგს სხდომისათვის გადადადებულიყო. ხმ.თავ. ნ.ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ ამ წესის მიღების და დამტკიცების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ფინანსიური მხარე ამ საქმისა იმდენად სერიოზულია, რომ იგი უფრო ვრცლად უნდა შემუშავდეს და აგრეთვე შეიკრიბოს სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენად მოსახერხებელი იქმნება დაწესებულ გარდასახადმა მოსპობილ საქონლის ზარალის ზღვევას გაუძლოსო. საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის ამ საქმის შესახებ შემუშავებულ წესის პროექტი და ამასთანავე ითხოვა შემდეგს კრებაზე წარმოდგენილ იქმნეს ვრცელი მოხსენება ამ საქმის ფინანსიურის მხრისა. საბჭომ, თანხმად ხმ. კალანთაროვის განცხადებისა, დაადგინა გარდასახადი მსხვილ პირუტყვებზე 12 კაპ.; და წვრილ მოზარდ პირუტყვებზე 3 კაპ. საბჭოს სხდომა დასრულდა ღამის 12 საათზე.

პროვინცია

ბათუმი. ის სამწუხარო ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით. შეიძლება ზოგიერთებს კიდევაც ახსოვდეს, რადგან იგი გაკვრით იყო მოხსენებული ზოგიერთ გაზეთებში; მაგრამ მაშინ კიდევ იმდენათ არ იხატებოდა ეს შემთხვევა, როგორც ახლა, და ეს მისი შედეგის გამო, მისი, თითქმის, დაბოლოვებით. შემთხვევა გამოწვეულია ჩვენი ჩვეულობისაგან, რომელს ბევრი მსხვერპლი ეწირება, ვხედავთ ამას, მაგრამ მაინც არ ვიშლით.

წრეულ ზაფხულში გურიაში მცხოვრებ თავ. ა. მ. —ს ქორწილი ჰქონდა, ქალიშვილს ათხოვებდა. მდიდარ კაცს მრავალი მოწვეული ჰყავდა. ჯვარდაწერილთ ფართე გზაში ხმაურობით შემოჰყვნენ სტუმრები და მხიარულად უახლოვდებოდნენ გზის ბოლოში მდგარ სახლს. საღამოჟამი იყო. ხმაურობაზედ სახლიდან გამოსულმა მასპინძელმა ბალკონზედ რევოლვერი დასცალა, ჩვეულებისამებრ; მის მხიარულებაში მონაწილე სტუმარი შეუერთდა ამაში მასპინძელს,—ამას მოჰყვა მეორე, მესამე და შეიქნა რევოლვერების ბათქა-ბუთქი და ტკაცანი ჩამობნელებულში. ყოველ მხრიდან მოისმოდა შეშინებულთა ყვირილი და მუდარა, რომ შეჩერებულიყვნენ. ამ დროს ერთი გაწივლება, და იმ ჯგუფში, სადაც იდგნენ შემკრთალნი დედოფლის ბიძაშვილები, ერთი ამათგანი თხუთმეტი წლის ქალიშვილი მიწაზედ განერთხო. რა ამბავი? რა იყო? მისცვივდნენ, აყენეს გრძნობა დაკარგული არსება,—სისხლით იყო შეღებილი ერთიანად მისი პირისახე; ვაჟკაცმა მაყართაგანმა დაავლო ხელი და სახლისაკენ გააქანა დაჭრილი,—რომელიც მკვდარი ეგონათ. ქალიშვილს ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი. «მტრისას», იციან ჩვენში,—რაც იმას მოჰყვა, მაგრამ მტერსაც აშორის იგი. ნორჩი არსება სასიკვდილოდ გამზადებული, მისი ბიძაშვილი ბედნიერ დღეს ცხარე ცრემლით მოტირალი, ყველა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ბედათ სოფელი რკინის გზის ახლო არის და დაჭრილი თავადის ქალი იმ ღამესვე ბათუმში ჩამოიყვანეს. ექიმებმა გამოარკვიეს, რომ შუბლის ძვალი ახლეჩილი იყო, ტვინი დაზიანებული და მდგომარეობა საშიშარი მეტად; ტყვია ვერ ნახეს, დაჭრილს ენა წაერთვა, მახსოვრობა დაეკარგა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, გულდამწვარ მშობლებთა სასიხარულოთ ავადმყოფმა ცოტ-ცოტათი ლაპარაკი შეიძლო; შემდეგ, ყველას გასაკვირველად, კარგათაც შეიქმნა, ისე რომ ტკივილებს აღარ გრძნობდა, მეხსიერებაც მოუბრუნდა; ოღონდ იმისი კი არაფერი ახსოვდა, თუ როგორ დაიჭრა, და თუ რამ შერჩა იქიდან—ის, რომ მონახვედრ ადგილას ხშირად ქავილი აუტყდებოდა ხოლმე. შემდეგ ისე გამოკეთდა, რომ მშობლებს მხოლოდ სამწუხარო მოსაგონებლად ურჩებოდათ ეს ფათერაკი.

მაგრამ ეს თურმე მხოლოდ დროებითი იყო. ამ დღეებში დედ-მამას და ყველა ნათესავ-ნაცნობების გულის დამშვიდება ისეთ გამამწარებელ სურათით შეიცვალა, რომ უბედურნი მშობლები ღმერთს ევედრებიან, რომ დროით მიიბაროს მათი საცოდავი შვილი.

თავადის ქალი ისევ ავად შეიქმნა და დღეს გონება შერყეულია, აღარავის იკარებს თითქმის, ხელებს ირტყამს გულში, ხან ისვრის, მოუსვენარობაში წვალობს საცოდავათ

როგორც ამბობენ, ტყვიის ნაჭერი შიგნით თავში უნდა ჰქონდეს. გამწარებულ მშობლებს ბათუმიდან ქუთაისში მიჰყავთ თოფურიას საავადმყოფოში, თუ რამ ეშველებათ ამ ჩვენი მოუშლელი და უაზრო ჩვეულების უმანკო მსხვერპლს.

საცოდავი ჯერეთ გიმნაზიის მოსწავლე იყო.

ქ.

ოზურგეთი. «აირია მონასტერიო» რომ იტყვიან, სწორედ ისე ემართება ამ ჟამად ოზურგეთლებს: ადგილობრივი საზოგადოების უმრავლესობის სურვილის მოწინააღმდეგეთა დაუძინებელმა შურიანობა-მეცადინეობამ გასჭრა: უმრავლესობის სურვილი და გადაწყვეტილება დაბრკოლდა. ჩვენი საზოგადოების გეროსტრატების *) ჩუმ სიამოვნებას საზღვარი არ აქვს. საზოგადოების ნამდვილი ერთგულნი, გულშემატკივარნი გზა დაბნეულნი არიან. რანაირად გამოასწორონ წამხდარი საქმე, რა საშუალებით დაიცვან თავიანთი უფლება, არ იციან. ჩვენი გეროსტრატებისაგან დაწუნებული და მათ ხელ-გამწყობელთაგან დევნილი, უმრავლესობის სურვილით მოწოდებული ქალაქის მოურავი იძულებული შეიქნა ოზურგეთის ქალაქის საქმეების მართვა გამგეობისათვის თავი დაენებებია; ის, როგორც ვიცით, არჩეულ იქმნა გუბერნიის წინამძღოლის კანდიდატის თანამდებობაზედ; ოზურგეთის ქალაქის წარმომადგენელნი კი ორ ცეცხლ შუა დარჩნენ. უნდა აირჩიონ ვინმე, მაგრამ არავინ სასურველი და შესაფერი მათი მოთხოვნილებისა არ სჩანს, არ აირჩიონ—მთავრობა თავის ნებით დაუნიშნავს ვინმეს; რამდენჯერმე იყვნენ მოწოდებული რწმუნებულნი ახალი მოურავის ასარჩევად, მაგრამ ვერც ერთხელ, ვერც ერთ კანდიდატზედ ვერ შეთანხმდნენ. უკანასკნელი სხდომა დანიშნულია 11 ამ თვისათვის.

ს. რუისი (გორის მაზრა). წარსულ მაისში, როდესაც გორის მაზრაში იყო ბ-ნი გუბერნატორი, რუისის საზოგადოებამ მიართვა მას არზა, რომელშიაც, სხვათა შორის, სთხოვდნენ: ჩვენ შორის არიან ისეთები, რომლებსაც ქურდობა, კაცის დახვედრა და ცემა, გადაწვა, ჭირნახულის გატიალება და ათასი სხვა სისაძაგლე ხელობად აქვთ გადაქცეულიო; ვერც მოხელე და ვერც მეზობელი მათ წინააღმდეგ საჯაროდ ხმას ვერ იღებს შიშით, თუმცა კი იციან, ვინც არიანო.

ბ ნმა გუბერნატორმა უბრძანა: თქვენს თხოვნაში არ გიხსენე იათ, სახელდობრ ვინც არის მაგისთანა ხალხიო. ხალხმა ერთხმად უპასუხა: კიდეც ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ ვერ ვასახელებთ მაის ვინაობას, თორემ ცოდნით კი ვიცითო.—ეს სამი თვე არ არის, რაც მამასახლისად დამაყენესო,—დაუმატა მამასახლისმა,—და ღამის ჭირნახულები სულ ამომიგდონ მტრობითაო. ამგვარივე ილაპარაკეს სხვა ამორჩეულმა პირებმაც. დიახ, აქ არიან, მართლა და, თვალსაჩინო ავაზაკები, რომლებიც, ვინ იცის რამდენი ხანია, თავისუფლად დათარეშობენ, ბევრგან მიასწრეს ავაზაკობაზე და რამდენჯერაც ვერ მოასწრეს, იმას ხომ თვლა არა აქვს. აი მაგალითევიც. მაისში ს. საქაშეთში ერთმა გმირმა თავის ამფსონებით მოსდვეს შარი სწყალს თოდაძეს და აუტეხეს ჩხუბი. ჯერ ერთი, რომ კაცი დღესაც არ ვარგა მაშინდელ ცემისაგან და მეორე კიდევ ის, რომ შემოაჭრეს ძვირფასი ვერცხლის ქამარი, რომელიც ღამის არის დაეკარგოს უბედურს; რომ აღარც მოსამართლე ეშურება! ეს კი მინაურულად იციან, რომ ქამარი რუისშია დაგირავებული.. ამავე გმირმა მოიპარა 13 ცალი რკინის გზის შპალები ამ ზაფხულს; მამასახლისი გულდაგულ იმის სახლში მივიდა და ერთს წამს აღმოაჩინა მოპარული შპალები. რასაკვირველია, ამაზედაც სწარმოებს საქმე, ესე იგი დაიჭირეს და მეორე დღეს ვიღაცეების თავდებობით უკანვე გიახლებათ ამ სამი დღის წინად კიდევ იმავე რაინდმა ქარელში გასტეხა ღვინით სავსე ქარხნის კარები და გამოიტანა ლოგინი და კიდევ რაღაც ავეჯი. ქურდს მალე დაეწივნენ თურმე და ღვთის წყალობა გაქვთ, ის გააჭრელეს! დაიჭირეს კიდეც. თუ ისევ მალე არ გიახლათ და ახლა იმ მცემლებს არ აუგო ანდერძი. წინანდელი მისი ოინები რომ დავიწყოთ, გაზეთი კი არა, იქნება ჟურნალიც არ ეყოს. არის კიდევ მეორე რაინდი, რომელმაც ღამის ქვეყანა აამტუტოს... კვირა არ გავა, რომ უწყება და სხვა რამ ბრძანება არ მოვიდეს: „заарестовать, доставить“ და სხვ. ეს ვაჟბატონი მაინც ისევ ის თომაა და ისევ ის ტყავი აცვია. შეიძლება კაცს უჭირდეს და ამ გაჭირვებამ სისაძაგლემდის მიაღწევინოს. მაგრამ ეს ასე არ არის: არა უჭირთ-რა და ოჯახიც რიგიანი აქვთ, მაინც უკუღმართია. სოფელი მეტად შეწუხებულია ამ ვაჟბატონებისაგან. საჭიროა, სასტიკი ზომები იქმნას მიღებული.

---

*) გეროსტრატი—იყო ის კაცი, რომელმაც სახელის გასათქმელად საუკეთესო, მშვენიერი ეკკლესია დაწვა საბერძნეთში.

ქ. თელავი. ამ ჟამად თელავში და მის მაზრაში საუცხოვო ამინდებია. კარგი ამინდებისა გამო თითქმის მთელის თელავის მაზრის მცხოვრებნი დაფაცურდნენ და ემურებიან ჭიგოების დამზადებას ვენახებისათვის; ჭიგო ძლიერ ძვირად ჰფასობს, რაც დრო და ხანი გადის. სახელმწიფო ადგილებში თუმცა კარგი ჭიგოს მოსაჭრელი ტყეებია, მაგრამ ნებას არ აძლევენ ყიდვისას, და მთელი კახეთი სათავადო ტყეებს შეჰყურებს, მაგრამ იქაც, მუდმივის ჭრის გამო, გამოილია ჭიგო. რადგანაც გამოღმა მხარში, ესე იგი ცივ-გომბორის მთებზე, იმდენი მოსაჭრელი ჭიგო აღარ არის, რომ დააკმაყოფილოს მათი ვენახების მოთხოვნილება, ამის გამო ბევრს გაღმა-მხარეს უხდება წასვლა და კავკასიონის მთის ნაწილიდან ჭიგოების მოჭრა და გამოტანა გამოღმა-მხარეში, რაიც შესამჩნევად ძვირი ჯდება. მაგრამ ასე იქცევიან მხოლოდ ისინი, ვისაც შეძლება აქვს და საქონელი ჰყავს, ხოლო ვისაც არა ჰყავს საქონელი და არა აქვთ შეძლება, იმას სად შეუძლიან ურმის დაქირავება და იმ სიშორედან ზიდვა? ამიტომ მას ადგილობრივ ტყიდან თითის ოდენა წნელი მოაქვს და იმით აკმაყოფილებს თავისს ვენახს და ამისთანა ჭიგოზედაც რამდენიმე ვაზია მიკავებული.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენი მხცოვანი პოეტი თავადი რაფიელ ერისთავი თელავში სცხოვრობს; ნოემბრის პირველ რიცხვებში, როგორც «ცნობის ფურცლის» მკითხველებს უკვე ეხსომებათ, ავად გახდა გაცივებით, მაგრამ ისევ უკეთ შეიქმნა, ასე რომ, თავისუფლად დგებოდა და მადაც კარგი ჰქონდა. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ისევ მძიმედ შეიქმნა ავად, ასე რომ წმიდა საიდუმლოც კი მიიღო.

ს. ებალაური (გურია). ეს სოფელი სხვა მახლობელ სოფლებს სწავლა-განათლებით ჩამორჩენია, თუმცა ქონებრივად საკმაოდ მდიდარია. სწორედ უსწავლელობის მიზეზი უნდა იყოს, რომ აქ უზნეობა და სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედება ხშირი მოვლენაა. მთავრობის ნება-რთვით წელს ამ სოფელში დაარსდა სასოფლო ერთ-კლასიანი სკოლა. მასწავლებელს მთავრობა აძლევს ჯამაგირს, ხოლო სოფელი თავის მხრით ვალდებულია აგოს სკოლის შენობა და მოსამსახურე დაუქირაოს. სოფლის ვექილები პირობით შეეკვრნენ ოსტატს, სკოლის შენობა პირველ ნოემბერს მზათ უნდა ყოფილიყო. მაგრამ აგერ დეკემბერიც დაიწყო და სკოლა ჯერ კიდევ მზათ არ არის. სკოლა მოთავსებულია ერთ ნაქირავებ ოთახში, რომელიც მასწავლებლის საცხოვრებელ ოთახსაც შეადგენს. სტოლების უქონლობისა გამო ჯერ წერა არ დაუწყიათ შეგირდებს. ამ ნაირად თითქმის ნახევარი წელი უსარგებლოთ იკარგება სკოლის შენობის უქონლობისა გამო. მასწავლებელმა სამჯერ შეჰჩივლა ადგილობრივ პოლიციის ბოქაულს აგეთი სკოლის უნუგეშო მდგომარეობა და სთხოვა დაეჩქარებინა სკოლის შენობა, მაგრამ თუმცა ბოქაულმა სამივე ჯერ სასტიკი მოწერილობა გაუგზავნა მამასახლისს, სკოლა ჯერ არ მოსრულდა და შეიძლება მხოლოდ მე-20-ე საუკუნეში ვეღირსოთ. ეტყობა სკოლის საქმე აქაურ მამასახლისს ვერაფერ საინტერესო საქმეთ მიაჩნია, რომ ასე გულგრილად ეკიდება მას.

ი. ანტონაშვილი

სასამართლო

მეტონიძის საქმე

გუშინ, 12 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა ერთი საყურადღებო საქმე ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფელ ცახის მცხოვრების გლეხის გიორგი მეტონიძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა თვისი ცოლის მოკვლა. საქმის გარემოება შემდეგია: გიორგი მეტონიძე ყოფილა სოფლის ხარკის ამკრებად (сборщикъ податей) და როდესაც სოფელში სიარულით და ფულის მოკრებით შინ მოქანცული მისულა, დაუძინია და მისი მეუღლე სალომე კი სადილის მზადებას შესდგომია. სალომე, როდესაც უკვე სადილი მოუმზადებია, მისულა ქმრის გასაღვიძებლად და სადილზე მისაწვევად. ქმარი წამოვარდნილა უცბად ზეზე, ჩამოუვლია ხანჯლისთვის ხელი და გამოჰკიდებია ცოლს, რომელსაც კარებთან დასწევია და დაუკრავს ხანჯალი ორგან თავში და ერთიც პირდაპირ გვერდში; ცოლი შემდეგ ამ ჭრილობისაგან გარდაცვლილა; გიორგი მეტონიძეს ამ საქმეში თავი დამნაშავედ არ უცვნია და განუცხადებია, რომ მე, როგორც ხარკის ამკრებს, სუფლის ფულები მქონდა თან და როდესაც მე ღვიძება დამიწყეს, უცებ მე მომეჩვენა, თითქოს ყაჩაღები დამეცნენ თავზე. ხანჯალს ჩამოვავლე ხელი და არ მახსოვდა, რა ჩავიდინე, და მხოლოდ, როცა ხელ-მეორედ გამოვიძინე და გამოვფხიზლდი, მაშინ მივხვდი, რაც დანაშაულობა ჩამედინა. თვით გარდაცვალებულს გამოძიების დროს უჩვენებია, რომ, როდესაც ქმარს ვაღვიძებდი სადილისთვის, იგი წამოვარდა ზეზე, კედლიდან ხანჯალი ჩამოიღო, გამომიდგა და დამჰკრა, ქმართან მე არასფერი უკმაყოფილება არა მქონიაო. ოთხს სხვა მოწმეებსაც უჩვენებიათ, რომ ცოლ-ქმარს ერთმანეთში არავითარი უკმაყოფილება არა ჰქონიათ და 8 წელიწადი ერთმანეთთან კარგად სცხოვრობდნენო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს მეტონიძე დამნაშავედ უცვნია გულმოსულობის დროს, მაგრამ განზრახვით ცოლის მოკვლის საქმეში და გარდაუწყვეტია ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ციმბირის შორეულს ადგილებში გარდასახლება. ბრალდებული ოლქის სასამართლოს განაჩენს არ დაჰყაბულებია და განუსაჩივრებია იგი სამოსამართლო პალატაში. ტფილისის სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევის დროს აღძრულა საკითხი იმის შესახებ, რომ გიორგი მეტონიძე ვითომც ამ დანაშაულობის დროს თვით-ცნობიერებაში არ ყოფილიყოს და ეჭვიც აღსძვრიათ მის არა ნორმალურ მდგომარეობაში. ამის გამო. 6 თვის განმავლობაში იგი მოუთავსებიათ სულით ავადმყოფთა ქსენონში იმის გამოსაკვლევად, რომ მეტონიძე სულით ავადმყოფი ხომ არ არისო. ექიმების შემოწმებით იგი სრულიად ჯანმრთელია და არასოდეს ეჭვის გამამართლებელ ავადმყოფობით ავად არ ყოფილა. სამოსამართლო პალატამ გუშინ ბრალდებული შეამოწმებინა ექიმს ბ-ნ ორბელს, რომელმაც სასამართლოში იგანაცხადა, რომ თუ დაუჯერებთ ბრალდებულს, რომ მან ამ დანაშაულობათა ჩადენის შემდეგ ღრმად დაიძინა და შემდეგ გამოერკვა თვის მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებაში, მაშინ შესაძლებელია იგი იმ დროს თვით ცნობიერებას ყოფილა მოკლებული, მით უმეტეს, რომ იგი ავად ყოფილა ვენერიული სნეულებით და ჰყვარებია ღვინის სმა, რასაც, შესაძლებელია, ზოგჯერ ცხოვრებაში მოჰყვეს კაცის არა ნორმალური მდგომარეობა; ეს აზრი მით უფრო მისაღებია, რომ ბოროტ-მოქმედება უცებ გაღვიძების შემდეგ ჰხდება. ბრალდებულის ვექილმა ბ-ნმა სეგალმა სთხოვა სასამართლოს მეტონიძის გამართლება, რადგანაც, როგორც მთელი საქმის გარემოება გვიჩვენებს იგი ამ საქმის ჩადენის დროს თვით-ცნობიერებას ყოფილა მოკლებულიო და მოწმების ჩვენებით იგი ცოლთან თანხმობით სცხოვრებდა და როგორ შეიძლება არა ავადმყოფმა კაცმა სადილზე მიწვევას ასეთი სასტიკი მოქმედებით უპასუხოსო. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო მეტონიძე ცოლის განზრახ მოკვლაში და გარდაუწყვიტა ყოველივე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და ოთხის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

თეატრი

ორშაბათს, 11 დეკემბერს, სახაზინო თეატრში გამართული იყო მეორე სიმფონიური საღამო მუსიკალური სკოლის დირექტორის ნ. ს. კლენოვსკის მეთაურობით.

პროგრამა ამ სიმფონიური საღამოსი ფრიად ხელოვნურად იყო შემდგარი. ეს საღამო მით უფრო საინტერესო და მიმზიდველი იყო, რომ მაში მოეთავსებინათ იმისთანა კლასიკური საინტერესო ნომრები, რომელნიც ჯერ ტფილისში არ შეუსრულებიათ; ასეთი იყო შესანიშნავი რთული და გამტაცი სიმფონია ლისტისა „ფაუსტი“.

ეს შესანიშნავი სიმფონია შესდგება სამი სურათისაგან: I „ფაუსტი“, II „გრეტხენ“ და III „მეფისტოფილი“. დაწერილია ორკესტრისათვის, ეს სიმფონია ლისტისა შესანიშნავია მით, რომ კომპოზიცია ამ სიმფონიისა ჩვეულებრივ კალაპოტში არ არის მოთავსებული, ე. ი. აქ მან ცოტათი მხარი აუქცია ჩვეულებრივ ფორმას სიმფონიისათვის ვალდებულს და თავისუფლება მისცა თავის მდიდარს მუსიკალურ ფანტაზიას, ანუ სულის თქმას. ბატონი რ. პოლი ასე მოგვითხრობს თავის წერილში, რომელშიაც მშვენივრად აქვს ეს ლისტის სიმფონია გარჩეული: პირველი უმთავრესი ტემა პირველის ნაწილისა გვიხატავს ფაუსტის სულის მდგომარეობას: ეჭვს, ნაღველს, სასოწარკვეთილებას, სიძულვილს ცხოვრებისა სწავლისა და თვისი ლტოლვილებისადმი, მეორე ტემა: გამტაცი სურვილი ცოდნისა, დაუღალავი სურვილი წინმსვლელობისა, თავის თავის უკმაყოფილება და ბრძოლა თავისუფლებისათვის. მესამე ტემა: მოუსვენარი წყურვილი რაღაცა საარაკო ბედნიერებისა. მეოთხე: სიყვარული ღვთისა და კაცისა და მეხუთე—სიამაყე და იმედი თავის თავისა.

მეორე ნაწილში ამ სიმფონიისა ლისტი გვიხატავს გრეტხენის ხასიათს. მშვენივრად არის დახასიათებული ის სურათი, როდესაც გრეტხენი ყვავილებს აცლის ფურცლებს და ბუტბუტებს: „სიყვარული, არა.. სიყვარული“. მერე დახასიათებულია, თუ როგორ გრეტხენი თანდათან მხიარულ გუნებაზედ მოდის და საარშიყო ოცნებებს ეძლევა. ეს უკანასკნელი სულის თქმა საოცარის ხელოვნებით აქვს დასურათებული მუსიკალურის მხრივ.

მესამე ნაწილში ბ-ნ ლისტს დახასიათებული ჰყავს მეფისტოფელი. მეფისტოფელი, როგორც ყველაფრის უარის მყოფელი და ყველა კეთილის წინააღმდეგი, დასცინის, სასაცილოდ იგდებს ფაუსტის კეთილ-ნდომა-სურვილს და მისწრაფებას ცოდნისადმი.

თუმცა, როგორც ეტყობა, ძალიან ძნელია ამდენგვარი სულის-თქმის დახასიათება მუსიკისათვის, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბ-ნ ლისტს ფრიად ხელოვნურად აქვს შესრულებული ეს არა ადვილი შრომა.

მეორე განყოფილება დაიწყო ცნობილი რუსის კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის სიუიტით.

ტემა ამ სიუიტისათვის აღებულია პუშკინის ზღაპრიდან „о Царѣ Салтанѣ“, ორკესტრისთვის არის დაწერილი და ესეც პირველად გავიგონე ტფილისში. ნაღველი და ჯავრი საყვარელი მეუღლისა, რომელსაც ეთხოვება ომში მიმავალი მეფე, ზღვის ღელვა, დედოფლის დარდი ომში წასულ მეფეზე და სხვ.—დიდის ცოდნით აქვს დახასიათებული ავტორს. საზოგადოთ ბ-ნ რიმსკი-კორსაკოვი ისე დახელოვნებულია და ისე მშვენივრად იცის ორკესტროვკა, რომ მას, მე ვგონებ, ბადალი არ უნდა ჰყავდეს არამც თუ რუსეთში, სხვაგანაც კი.

მესამე ნომერი ორკესტრმა შეასრულა „მეფე ლირი“, უვერტიურა ბერლიოზისა. უვერტიურა დაწერილია იტალიაში 1831 წელს. ეს უვერტიურა ფრიად რთული და მდიდარია მელოდიებით.

ასეთი რთული და საინტერესო ნომრები მოგვასმენინა ბ-ნმა კლენოვსკიმ. მხოლოდ იმისთანა საქმის მცოდნეს და დახელოვნებულ პირს, როგორიც ბ-ნ კლენოვსკია, შეეძლო ისე სავსებით და უნაკლულოთ აესრულებინა ეს, მართლაც და, სასიამოვნო ნომრები.

ბ-მა ი. ა. ლევინმა დაუკრა როიალზე შოპენის „ბარკაროლა“ და რუბინშტეინის ეტიუდი (C – pur). ეტყობა, ბ-ნ ლევინი საქმის მცოდნეა. ისე კარგად აასრულა თავისი ნომრები, რომ ორი ნომერი კიდევ დააკვრევინეს გარეშე პროგრამისა.

ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო და დიდის თანაგრძნობითაც მიიღო ბ-ნ კლე კლენოვსკი და ბ-ნი ლევინი.

ფ. ჩხიკვაძე

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Открыта подписка

НА

„С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ“

ВЪ 1901 Г.

Подписная цѣна:

	Безъ казенныхъ прибавленій.				Съ казенными приб	
	на годъ.	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.	на годъ.	6 мѣс.
Съ доставкой по гор почтѣ	16 р. — к.	9 р. — к.	4 р. 50 к.	1 р. 80 к.	18 р. — к.	10 р.—
Съ пересылкою иногородн.	17 „ — „	10 „ — „	5 „ 50 „	2 „ — „	19 „ — „	11 „ —,
За границу.	26 „ — „	14 „ — „	8 „ — „	3 „ — „	28 „ — „	16 „ —,

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому с ними соглашенію); для частныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7 руб при подпискѣ, 5 руб. въ концѣ марта и 5 руб. 1 августа.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній, преподавателей народныхъ училищъ и всѣхъ среднихъ и высшихъ учебныхъ заведеній а равно для общественныхъ библіотекъ и читаленъ подписная цѣна: 12 руб въ годъ или *по 1 руб. въ мѣсяцъ* (исключительно черезъ контору „СПБ. Вѣдомостей“) Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высылка газеты прекращается.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Цинзерлинга, (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Печковскія линіи, № 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

Редакторъ-издатель *князь Э. Э. Ухтомскій.*

ვ. 3—3

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩ, № 27.